

განმარტებითი ბარათი
„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე
საქართველოს კანონის პროექტის მიმართ

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
- ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
წარმოდგენილი კანონპროექტი წრმოდგენს „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმხლებ პროექტს.
- ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:
სარეზერვო სამსახურის გავლისას პირისათვის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მინიჭება.
- ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
პროექტის მიხედვით სამხედრო სარეზერვო სამსახურში მყოფ პირს სამხედრო სარეზერვო სამსახურის გასაველელად სამხედრო ნაწილში ჩაირიცხვიდან სამხედრო ნაწილიდან ამორიხვამდე პერიოდში მიენიჭება სამხედრო მოსამსახურის სტატუსი.
- ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება
- ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას;
- ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;
- ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;
- ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას;
- ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს;
- ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის შემოღებას;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
არ მონაწილეობენ;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
პარლამენტის წევრები: სამსონ ქუთათელაძე, ლაშა თორდია, ზვიად კუკავა;

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
პარლამენტის წევრები: სამსონ ქუთათელაძე, ლაშა თორდია, ზვიად კუკავა.